

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №54
2018 წლის 24 დეკემბერი

ქ. გარდაბანი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №76 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 26/12/2017, 190020020.35.161.016377).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ტარიელ ჯანხოთელი

დანართი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

მუხლი 1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბალანსი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსავლები	27,633.0	26,697.1	27,135.0
გადასახადები	22,192.1	21,600.0	23,875.0
გრანტები	2,433.6	2,485.1	260.0
სხვა შემოსავლები	3,007.4	2,612.0	3,000.0
ხარჯები	13,908.7	15,352.7	18,674.5
შრომის ანაზღაურება	3,290.0	3,590.0	4,305.0
საქონელი და მომსახურება	2,844.5	2,862.4	3,137.7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0



პროცენტი	40.0	85.0	46.0
სუბსიდიები	6,296.0	6,917.1	9,049.3
გრანტები	45.0	45.0	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,237.8	1,423.5	1,669.5
სხვა ხარჯები	155.3	429.7	422.0
საოპერაციო საღდო	13,724.3	11,344.3	8,460.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	13,361.6	19,962.3	8,306.5
ზრდა	13,973.3	20,512.3	8,506.5
კლება	611.7	550.0	200.0
მთლიანი საღდო	362.7	-8,618.0	154.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	38.2	-8,733.0	0.0
ზრდა	116.0	0.0	0.0
კლება	77.7	8,733.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-324.5	-115.0	-154.0
ზრდა	0.0	0.0	0.0
კლება	324.5	115.0	154.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. გარდაზნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსულობები	28,244.7	27,247.1	27,335.0
შემოსავლები	27,633.0	26,697.1	27,135.0
არაფინანსური აქტივების კლება	611.7	550.0	200.0
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-
გადასახდელები	28,206.5	35,980.1	27,335.0
ხარჯები	13,908.7	15,352.7	18,674.5



არაფინანსური აქტივების ზრდა	13,973.3	20,512.3	8,506.5
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-
ვალდებულებების კლება	324,5	115.0	154.0
ნაშთის ცვლილება	38.2	-8,733.0	0.0

მუხლი 3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 27,135.0 ათასი ლარის ოდენობით			
დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსავლები	27,633.00	26,697.10	27,135.00
გადასახადები	22,192.1	21,600.0	23,875.0
გრანტები	2,433.6	2,485.1	260.0
სხვა შემოსავლები	3,007.4	2,612.0	3,000.0

მუხლი 4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 23,875.0 ათასი ლარის ოდენობით				
შემოსულობების კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
11	გადასახადები	22,192.1	21,600.0	23,875.0
11111	საშემოსავლო გადასახადი	1,608.3	1,500.0	-
11311	ქონების გადასახადი	20,583.8	20,100.0	22,000.0
113111	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	10,730.1	12,700.0	13,400.0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	18.9	-	80.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	37.1	20.0	20.0



113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1,359.2	1,480.0	2,200.0
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	8,438.5	5,900.0	6,300.0
11411	დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	-	1,875.0

მუხლი 5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 260.0 ათასი ლარის ოდენობით				
შემოსულობების კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
13	გრანტები	2,433.6	2,485.1	260.0
133	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	2,433.6	2,485.1	260.0
1311	ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2,433.6	2,485.1	260.0
	გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	260.0	260.0	260.0
	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	0.0	0.0
1312	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,173.6	2,225.1	0
	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2,173.6	2,225.1	0
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3,000.0 ათასი ლარის ოდენობით				
შემოსულობების კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა



	14 სხვა შემოსავლები	3,007.4	2,612.0	3,000.0
	141 შემოსავლები საკუთრებიდან	1,230.5	1,150.0	1,250.0
	1411 პროცენტები	689.0	650.0	750.0
	1415 რენტა	541.4	500.0	500.0
	14151 მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	499.5	500.0	500.0
	14154 შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	41.9	0.0	0.0
	142 საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	244.8	262.0	150.0
	1422 ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	221.6	262.0	130.0
	14223 სანებართვო მოსაკრებელი	167.4	200.0	80.0
	14229 საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
	142213 სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	45.1	50.0	0.0
	142214 ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	9.1	12.0	50.0
	1423 არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	23.2	0.0	20.0
	14232 შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	23.2	0.0	20.0
	143 ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,316.7	1,100.0	1,550.0
	144 ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	0.0	0.0	0.0
	145 შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	215.4	100.0	50.0

მუხლი 7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

(ათას ლარებში)

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 18,674.5 ათასი ლარის ოდენობით			
დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ხარჯები	13,908.7	15,352.7	18,674.5



შრომის ანაზღაურება	3,290.0	3,590.0	4,305.0
საქონელი და მომსახურება	2,844.5	2,862.4	3,137.7
პროცენტი	40.0	85.0	46.0
სუბსიდიები	6,296.0	6,917.1	9,049.3
გრანტები	45.0	45.0	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,237.8	1,423.5	1,669.5
სხვა ხარჯები	155.3	429.7	422.0

მუხლი 8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8,306.5 ათასი ლარის ოდენობით მათ შორის:

(ათას ლარებში)

ა) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8,506.5 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
01 01	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17.4	10.0	10.0
01 02	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია	293.5	1132.0	100.0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	-	7.4	-
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	5639.3	7198.0	817.0
03 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3233.6	3592.4	200.0
03 02 02	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	838.6	326.3	513.0
03 02 03	დასუფთავების ღონისძიებები	-	-	300.0
03 02 04	ბინათმშენებლობა	54.2	1110.0	-
03 02 07	საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	81.4	401.5	-
03 02 08	ნაპირსამაგრი სამუშაოები	-	246.5	-
03 02 10	სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია	1366.6	4032.7	3,950.0
03 03 01	კეთილმოწყობის ხარჯები	1685.1	1072.5	270.0



03 03 02	გამწვანების, ნარგავების მოწყვეთისა და სკვერების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ხარჯები	314.9	-	1,000.0
03 03 03	ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	36.1	150.0	150.0
03 03 04	ექსპერტიზის და საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯი	-	1193.0	1,015.9
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	382.2	17.5	-
04 01	ბაგა-ბაღების გაერთიანება	26.7	20.0	50.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	-	-	96.0
05 01 02 01	ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი	-	-	1.0
05 02 02 03	ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	1.3	-	-
05 02 02 04	ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	-	1.4	-
05 02 02 08	ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	-	1.2	13.7
06 01	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი	2.3	-	16.3
06 02 04	განსაკუთრებული საჭიროების ბავშვთა და მშობელთა საკონსულტაციო ცენტრი	-	-	3.6
სულ არაფინანსური აქტივების ზრდა		13,973.3	20,512.3	8,506.5

(ათას ლარებში)

ბ) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 200.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	611.7	550	200
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	183.5	400.0	150.0
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	428.2	150.0	50.0

მუხლი 9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა



კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5082.3	6624.2	6131.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5042.2	6489.2	6070.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5042.2	6489.2	6070.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	40.0	135.0	61.0
702	თავდაცვა	152.5	204.0	212.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	5927.4	8449.0	1852.9
7045	ტრანსპორტი	5927.4	7241.0	817.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5927.4	7241.0	817.0
705	გარემოს დაცვა	915.0	1408.5	2406.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	513.6	665.6	1251.3
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	81.4	712.9	125.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0.0	30.0	30.0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	319.9	0.0	1000.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	6203.8	6807.2	3023.0
7061	ბინათმშენებლობა	54.2	1110.0	0.0
7063	წყალმომარაგება	3710.4	4051.4	730.0
7064	გარე განათება	1668.9	1093.3	1663.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	770.2	552.5	630.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	259.0	260.0	290.0



7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	259.0	260.0	290.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3125.5	2634.4	2319.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2191.2	1636.3	1124.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	832.2	813.5	974.3
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0.0	30.0	30.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	102.1	154.6	190.5
709	განათლება	4841.7	7920.7	9170.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	4615.1	7737.7	9150.0
7092	ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0
710	სოციალური დაცვა	1374.8	1557.0	1776.5
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	774.8	871.5	1002.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	726.3	821.5	942.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	48.5	50.0	60.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	3.0	3.0	3.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	21.3	26.5	30.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	215.8	222.8	224.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	6.7	7.5	7.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	353.3	425.7	510.0
	სულ	27882.0	35865.1	27181.0

მუხლი 10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 154.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათ. ლარის ოდენობით მათ შორის:



ა) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათ. ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ზრდა	116.0	-	-

ბ) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 ათ. ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების კლება	77.7	8733.0	-

მუხლი 12. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -154.0 ათასი ლარის ოდენობით მათ შორის:

ა) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0 .0 ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ვალდებულებების ზრდა	-	-	-

ბ) განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 154.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	324.5	115.0	154.0

მუხლი 13. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 140.0 ათ. ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი, საქართველოს ორგანული კანონის



„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო თანხების გამოყოფა განხორციელდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები

1. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 260.0 ათ. ლარის ოდენობით.

თავი II

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, 2019 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-ექსპლუატაცია, სპორტული მოედნების მოწყობა, დასასვენებელი პარკებისა და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა.

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სამუშაოების განხორციელება. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში შიდა გზების რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა, ქალაქის და სოფლების დაზიანებული გზების ორმული შეკეთება, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდის ხელშეწყობით ქალაქის და სოფლების ცენტრალური გზების თანადაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი სატრანსპორტო მიმოსვლა;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- გადაადგილების დრო და სატრანსპორტო ხარჯები;
- რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობა;
- მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი;

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, საკანალიზაციო, სასმელი წყის და სანიაღვრე სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასუფთავების ღონისძიებები, აზომვითი ნახაზების და საკადასტრო რუკების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები:

- განათებული მუნიციპალიტეტი;
- გაუმჯობესებული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება;
- ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლუატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული კომუნალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- გაწმენდილი და დასუფთავებული სანიაღვრე მიწების რაოდენობა;
- დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი და გატანილი ნარჩენების რაოდენობა;

1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ გარდაბანში წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა, სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა და სხვა.

1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, სკვერების განათება და სხვა.

1. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სუფთა და სანიტარულად მოწესრიგებული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, პროგრამა მოიცავს ქალაქ გარდაბნის და სოფლების დაგვა-დასუფთავებას და მონახვეტის გატანას, ასევე გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და გატანას.

1. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა.

1. ქლორის შეძენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 05)

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია ყოველ წელს ახორციელებს სასმელი წყლისთვის ქლორის შეძენას, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქლორის შეძენა.

1. მაწანწალა ძაღლების გაუვნებელოება (პროგრამული კოდი 03 02 06)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების გავრცელების საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ძაღლების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფრებში.

1. საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება არსებული საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება და გაწმენდა, მილგაყვანილობისა და წყალსაქაჩების დამონტაჟება-რეაბილიტაცია.



1. ნაპირსამაგრი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 08)

მოსახლეობის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად გარდაბნის მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში, სადაც ჩამოედინება მდინარე, აუცილებელია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, რაც დაფინანსდება აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში.

1. მუნიციპალური შენობების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების, მიმდებარე ტერიტორიებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა.

1. სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 10)

მომავალი თაობის აღზრდა და სკოლის ასაკისთვის მომზადება ყველასთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ქვეპროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მშენებლობას და არსებულის მოვლა-პატრონობას.

1. მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები, მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები:

- ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;
- მოვლილი და გამწვანებული სკვერები;
- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული და ახლად შექმნილი სარეკრეაციო ზონების რაოდენობა;

1. კეთილმოწყობის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება სპორტული მოედნების, სკვერებისა და პარკებში ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია.

1. გამწვანების, ნარგავების მორწყვის, სკვერების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 02)

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გამწვანების, ნარგავების მორწყვის, სკვერების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები.

1. ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

1. ექსპერტიზისა და საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება.

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოფლის მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

2. ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღებში დაწყებით განათლებას იღებს 2-დან 6 წლამდე ბავშვები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

მოსალოდნელი შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
- გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა;
- სააღმზრდელო გარემოთი კმაყოფილი მშობლებისა და პედაგოგების რაოდენობა;

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. კულტურისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის სხვადასხვა სახეობაში ტურნირების ჩატარება, სახალხო-რელიგიური დღესასწაულების გამართვა და სხვა. ასევე, განხორციელდება წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელ-მასწავლებელთა დაჯილდოება, ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერა და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

3. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და



პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება;
- ახალგაზრდების ფართო მასების ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;
- სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა;
- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სხვადასხვა ტურნირზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა;

1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება და სპორტსმენების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა. წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ჩატარება უზრუნველყოფს პერსპექტიული სპორტსმენების აღმოჩენას, წახალისებას, სპორტში ახალგაზრდების დაინტერესების ზრდას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

1. წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები (სპოგრამული კოდი 05 01 01 04)

ახალგაზრდა თაობის მოტივაციის ამაღლებისა და მათი წახალისების მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოებას.

3. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობაში კულტურისა და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება;
- მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა;
- საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა;
- ფესტივალებში, კონკურსებში და სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობა;

1. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურისა და ხელოვნების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდინაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას.



ასევე, კულტურის დღეების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზებას.

1. კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, ასევე, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

3. ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური გამოყენება;
- ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4. ააიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ამის საფუძველზე მუნიციპალიტეტში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
